

ციკლების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით

პაატა ბახტაძე
სტუდენტ-დოქტორანტი

რეზიუმე

მოცემული სტატიაში გაანალიზებულია ეკონომიკური ციკლების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე. ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ეკონომიკური თეორიის ეს ორი მიმართულება, რომლებიც არსობრივად და კონცეპტუალურად ერთ ფუძეს ეყრდნობა შეისწავლელობდა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. მაგრამ 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდეგ შეიცვალა არსებული მიდგომა.

როგორც ცნობილია ეკონომიკური ზრდის ძირითად რაოდენობრივ მაჩვენებელს წარმოადგენს რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი, რომლის ზრდის ტემპებითაც განისაზღვრება ეკონომიკური ზრდა. ეკონომიკური ზრდა კი ყოველთვის არ მდინარეობს ერთმნიშვნელოვნად აღმავალი ტრენდით. პერიოდულად ადგილი აქვს ეკონომიკურ ციკლებს.

შემოთაღნიშნულიდან გამომდინარე სტატიაში რაოდენობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით ნაჩვენებია გრძელ ტალღებს, საშუალოვადიან ციკლებს და ეკონომიკურ ზრდას შორის კავშირი. ასევე მოყვანილია კონკრეტული ისტორიული ფაქტები, რომლებიც ასევე კავშირშია, როგორც ციკლებთან ისე ზრდასთან. გარდა ამისა ნაჩვენებია, როგორ იცვლება ციკლის ფაზის შესაბამისად ეკონომიკური ზრდის ფაქტორები.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური ციკლი, ეკონომიკური ზრდა, მშპ, ინვესტიციები. საბაზრო კაპიტალიზაცია.

THE IMPACT OF CYCLES ON ECONOMIC GROWTH ACCORDING TO QUANTITATIVE INDICATORS

Paata Bakhtadze
Phd student at GTU

SUMMARY

The given article analyzes the impact of economic cycles on economic growth. Over the last few decades, these two branches of economic theory, which fundamentally and conceptually rest on one foundation, have been studied independently of each other. However, after the 2008 global financial crisis, the existing approach changed.

As is known, the primary quantitative indicator of economic growth is real Gross Domestic Product, the growth rates of which determine economic growth. Economic growth does not always follow a unambig-

uously upward trend. Economic cycles occur periodically.

Based on the above, the article demonstrates the relationship between long waves, medium-term cycles and economic growth based on quantitative indicators. It also provides specific historical facts that are related both to the cycles and growth. In addition, it shows how the factors of economic growth change according to the phase of the cycle.

Key words: Economic cycle, Economic growth, GDP, Investment, Market capitalization.

* * * *

ნებისმიერი ქვეყნის და საზოგადოების ინტერესს ყოველთვის წარმოადგენდა და წარმოადგენს ეკონომიკური კეთილდღეობის უკეთესი დონის მიღწევა. ეკონომიკის დინამიზმის სისწრაფე, ეკონომიკური ზრდის წყაროები და მექანიზმები და სხვა. დღეისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში ეკონომიკის ზრდის ძირითად მაჩვენებლად გამოიყენება რეალური მშპ, გამოშვების რაოდენობრივი მაჩვენებელი დროის გარკვეულ მონაკვეთში, რომლის ზრდის ტემპებითაც განისაზღვრება ეკონომიკური ზრდა.

თავის მხრივ, ეკონომიკის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, ადგილი აქვს ისეთ მოვლენას, რომელსაც ეკონომიკური ციკლის სახელით ვიცნობთ და მნიშვნელოვნად ახდენს გავლენას ეკონომიკური ზრდაზე. ეკონომიკურ ლიტერატურაში ხანგრძლივობის მიხედვით ძირითადად ცნობილია ოთხი სახის ეკონომიკური ციკლი. ესენია: კიჩინის (3-4 წლიანი პერიოდულობით), ჟუგლარის (7-12 წლიანი პერიოდით), კუზნეცის (15-20 ან 25-30 წლიანი ხანგრძლივობით) და კონდრატევის გრძელი ტალღები (50 წლიანი ხანგრძლივობით, შესაძლო 10 წლიანი გადახრით).

შემოთაღნიშნული ციკლების შესაბამისი დათარიღების მიხედვით მოვიყვანოთ ფაქტებს რომელთაც ადგილი ჰქონდა და მათ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს ეკონომიკურ ზრდაზე.

გრძელი ტალღების დათარიღების მიხედვით ვიცით, რომ მე-3 გრძელი ტალღა დაიწყო 1891-1896 წლებში, ხოლო აღმავალი ფაზა დასრულდა სადღაც 1914-1920 წლებში, რომლის შემდეგაც დაიწყო დაღმავალი ფაზა, რომელიც გაგრძელდა 1936-1940 წლებამდე. ამ ციკლის დაღმავალი ფაზას ვეხებით იმიტომ, რომ ის აღინიშნა აშშ საფონდო კრახით და დიდი დეპრესიით, რომელმაც საბოლოო ჯამში მოიცვა 1929-1933 წლების პერიოდი და ის შესაბამისად

ამ ციკლების კანონზომიერებას, კერძოდ დაღმავალი ფაზა ხასიათდება ბევრად უფრო ღრმა და გაჭიანურებული კრიზისებით.

მეოთხე ციკლის რომლის სავარაუდო პერიოდია: აღმავალი ფაზის 1936-1940-1966-1971 წწ. და დაღმავალი ფაზა 1966-1971-1980-1985 წწ. აღმავალი ფაზის დასაწყისში ადგილი ჰქონდა მეორე მსოფლიო ომს. დაღმავალი ფაზა კი გამოირჩა 70-იანი წლების სანავთობო კრიზისით.

მეხუთე ტალღა - აღმავალი ფაზა 1980-1985 წწ. და 2000-2007 წწ.-მდე და დაღმავალი ფაზა სავარაუდოდ 2000-2007 წწ.-დან 2015-2025-წწ.-მდე. მე-5 ციკლის დასაწყისს წინ უსწრებდა რიგი მნიშვნელოვანი ცვლილებები, კერძოდ 70-იან წლებში უარი ითქვა ბრეტონ-ვუდსის სისტემაზე, გამოჩნდა ბანკომატები და პლასტიკური ბარათები, რომელმაც თავის მხრივ შეამცირა მოთხოვნა ნაღდ ფულზე და გაზარდა ფულის ბრუნვის სიჩქარე. ასევე ამ პერიოდში მოხდა ფინანსური ბაზრების გლობალიზაცია. ამ ტალღის დაღმავალ ფაზაზე ადგილი ჰქონდა აშშ ფინანსურ კრიზისს, რომელმაც მოკლე პერიოდში მოიცვა თითქმის მთელი მსოფლიო ეკონომიკა.

მეოთხე ციკლის დასასრულს კომპანია ინტელმა შექმნა პირველი მიკროპროცესორი (1971 წელი), თუმცა ნახევარგამტარები უფრო ადრე იქნა აღმოჩენილი (1947 წელი), რომელმაც საფუძველი ჩაუყარა კომპიუტერულ ერას (აქ მნიშვნელოვანია არა აღმოჩენის თარიღი, არამედ ცხოვრებაში მისი დანერგვა) და ამავდროულად გახდა ინტერნეტ კავშირის საფუძველი, რომლის შედეგიც არის ციფრული ერის დაწყება. გარდა ამისა ამ ტექნოლოგიების დანერგვამ შექმნა აბსოლუტურად ახალი ბაზრები, რომლებიც დაკავშირებულია კომპიუტერთან


და მათ პროგრამულ უზრუნველყოფასთან, გარდა ამისა, ნახევარგამტარების დანერგვამ კაცობრიობას საშუალება მისცა როგორც გაეუმჯობესებინა ისე გაემარტივებინა კავშირები და შედეგად უფრო იოლად წარემართა ეკონომიკური პროცესები.

ამავე ციკლის აღმავალ ფაზაზე დაიწყო კოსმოსის კომერციული დანიშნულებით ათვისება. დღეისათვის პრაქტიკულად წარმოუდგენელია სატელიტური კავშირების გარეშე საზოგადოების არსებობა.

ამავე პერიოდში თანდათანობით ხდება ახალი გარდაქმნები საფინანსო სფეროში, კერძოდ ფულის მიმოქცევის სფეროში. გაჩნდა ელექტრონული ფული, ადამიანებს შეუძლიათ ისარგებლონ ელექტრონული საფულით. შეიცვალა ვაჭრობის ფორმები და გაჩნდა ახალი ტიპის ბაზრები, ინტერნეტ მაღაზიები და ბირჟები.

ფაქტების ზოგადი მიმოხილვის შემდეგ, ციკლური რყევების ეკონომიკურ ზრდაზე გავლენის საჩვენებლად განვიხილოთ ზოგიერთი ფაქტორის რაოდენობრივი მონაცემი მსოფლიოს, აშშ, ჩინეთის ევროპის კავშირის მიხედვით. მონაცემები აღებულია მსოფლიო ბანკის მიხედვით, 1960-2023 წლების პერიოდზე. აღნიშნული პერიოდი მოიცავს ციკლების დათარიღების მიხედვით მე-4 K ტალღის ნაწილს და მეხუთე K ტალღას თითქმის სრულად (იხ. დიაგრამა 1-3).

მსოფლიოს შემთხვევაში, დიაგრამებიდან ჩანს რომ, ზემოთაღნიშნული პერიოდის განმავლობაში ადგილი ჰქონდა შვიდ საშუალოვადიან ციკლს, და ასევე, მოკლევადიან ციკლებს, კონდრატევის ტალღების გავრცელებული დათარიღების მიხედვით მე-4 ტალღის დაღმავალ ფაზაზე უმეტესად ადგილი აქვს უარყოფით ტრენდულ მაჩვენებლებს, ხოლო



მე-5 ტალღის აღმავალ ფაზაზე უმეტესად ადგილი აქვს დადებით მონაცემებს, რაც მოდის შესაბამისობაში კონდრატევის გრძელი ტალღების განმარტებასთან. ასევე სხვადასხვა ხანგრძლივობის ციკლების შესაბამისად ხდება ძირითადი მთლიანი ფიქსირებული კაპიტალის და უმუშევრობის ტემპების ცვლილებაც.

მე-5 ტალღის აღმავალ ფაზაზე რეალური მშპ-ს საშუალო ზრდის ტემპი შეადგენდა 3.3%, ხოლო დაღმავალ ფაზაზე შეადგენს 2.67%.

მთლიანად მსოფლიოს შემთხვევაში უმუშევრობა (მაჩვენებლები მოიპოვება 1991 წლიდან) საშუალოდ 1998-1999 წლებში, 6,06% დან გაიზარდა 6,35% მდე, ხოლო 2007-2009 წლებში 5,29% დან 5,92% მდე.

მთლიანად მსოფლიოს შემთხვევაში ფიქსირებული კაპიტალი 1974-1975, 1981-1982, 2001-2002 და 2008-2009 წლებში შესაბამისად შემცირდა 6,4-6,29, 7,69-7,4, 12,89-12,8 და 16,29-14,86 ტრილიონ დოლარამდე.

პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა, როგორც მოცემულ ქვეყანაში, ასევე, მოცემული ქვეყნის რეზიდენტების მიერ სხვა ეკონომიკებში განხორციელებული, მთლიანობაში მიყვება ეკონომიკური ციკლის დინამიკას. რაც თავის მხრივ ჯდება ეკონომიკური ციკლების თეორიაში. როგორც დი-აგრამიდან ჩანს, 2000-იანი წლებიდან დაწყებული მკვეთრად იზრდება მსგავსი საინვესტიციო აქტივობები.

გარდა ამისა, აღსანიშნავია რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ვაჭრობის მსგავსად შეიძლება განხილული იქნას როგორც ეკონომიკური ციკლის ერთი ქვეყნიდან მეორეში გადატანის საშუალება (ჩ.ჩ. სიუ, დ.ი.ვუ. რ. იუ, 2011)

აღსანიშნავია რომ ციკლების და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კავშირის კვლევასთან დაკავშირებით 75 ქვეყნის მონაცემების მაგალითზე ნაჩვენები იქნა, რომ ქვეყნების უმეტესობის შემთხვევაში პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და ბიზნეს ციკლებს შორის კავშირი არის პირდაპირი და ისინი ატარებს პროციკლურ ხასიათს. (წყარო [6])

არსებული მონაცემების მიხედვით მსოფლიოში შრომის მწარმოებლურობა იზრდება, მაგრამ, მაგალითად, მთლიანი მსოფლიოს მაჩვენებელი აშშ, იაპონიისა და ევროკავშირისა და მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნების მწარმოებლურობას ჩამორჩება 5, 4 და 3 ჯერ შესაბამისად.

ფინანსური სექტორის მიერ გაცემული სესხების მშპ-ს თან მიმართებით, 1961 დან 2016 წლების პერიოდში, შეიცვალა 79.3%-დან 184%-მდე.

სამეცნიერო კვლევებზე და გამოგონებებზე დანახარჯები ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით ბოლო 2 ათეული წლის განმავლობაში მუდმივად იზრდება, მაგრამ, ბოლო პერიოდში ამ დანახარჯების შესაბამისად რეალური მშპ-ს წილობრივი მაჩ-

ვენებელი მთლიანობაში მცირდება. ეს თავის მხრივ ტექნოლოგიუის სიახლეების თეორიული ახსნის შესაბამისი მოვლენაა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა კომპანიების საბაზრო კაპიტალიზაციის ზრდა, რომელიც მიმდინარეობს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მსოფლიო ეკონომიკის წამყვანი ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით. კომპანიების საბაზრო კაპიტალიზაცია მთლიან მსოფლიო მშპ-ს უკვე ბევრად აღემატება. სწრაფად მზარდია ტექნოლოგიური კომპანიების და ახალი ტექნოლოგიების დამწერგავი კომპანიების საბაზრო კაპიტალიზაცია.

ამასთან დაკავშირებით, წყარო [5] -ში აღნიშნულია, რომ საფონდო ბაზრის მოცულობა უნდა მიყვებდეს რეალურ ეკონომიკას, და აქვე, 17 ქვეყნის კომპანიებზე ჩატარებული კვლით, რომელიც მოიცავს ბოლო 145 წლიან პერიოდს, ნაჩვენები იქნა, რომ 1980 იანი წლებიდან 17 ქვეყნიდან 16-ში გამოვლინდა ამ მაჩვენებლის სწრაფი ზრდა. რაც დაკავშირებული იქნა კომპანიების მომგებიანობასთან და აქციიდან მისაღები მომავალი შემოსავლების დისკონტირების განაკვეთის ოდენობასთან, რომელთაგან კომპანიების მომგებიანობაზე მოდის საბაზრო კაპიტალიზაციის ნაზრდის 40%-ი, ხოლო დისკონტირების განაკვეთის ოდენობასთან დამოკიდებულებით კი 30%-ი.



შევნიშნოთ, რომ უმეტესად მომგებიანობის ნორმას უზრუნველყოფს ტექნოლოგიების განვითარება, გრძელვადიან პერიოდში მომგებიანობის ნორმის შემცირება უბიძგებს კომპანიებს რადიკალური ტექნოლოგიური ცვლილებებისაკენ.

გარდა ამისა, წყარო [8]-ში აღნიშნულია, რომ ტექნოლოგიები უზრუნველყოფს მწარმოებლურობის ზრდას, როგორც ამას გვიჩვენებს ენდოგენური ზრდის მოდელები და ემპირიული მონაცემები. ასევე ის ინვეს სოციალურ მობილობასც. (ეს ორივე მოვლენა თანხმობაშია გრძელი ტალღების თეორიასთან).

რაც შეეხება აშშ -ს, განხილული მონაცემები მოიცავს 1960-2023 წლების პერიოდს. ეს პერიოდი კი მოიცავს კონდრატევის მე-4 ციკლის დაღმავალ ფაზას და მე-5 ციკლს თითქმის სრულად (იხ. დიაგრამა 4-7).

დიაგრამებიდან ვხედავთ. გრძელი ტალღის თითოეული ფაზა შედგება ორი ან სამი საშუალო ვადიანი ციკლისაგან, თავის მხრივ თითოეული ეს ციკლი კიდევ შედგება ორი ან სამი მოკლევადიანი ციკლისაგან, მოცემული დიაგრამიდან ჩანს, რომ 1960-2023 წლებისათვის ადგილი აქვს შვიდ საშუალოვადიან ციკლს.

აბსოლუტურ მაჩვენებლებში მშპ-ს ზრდის გრაფიკი აჩვენებს, რომ დაღმავალ ფაზაზე ყოველთვის უფრო მეტია სერიოზული რყევები ეკონომიკაში, როგორც ეს ჩანს მოცემულ გრაფიკზე და აჩვენებს 70-იანი წლების ნავთობ კრიზისებს და ასევე 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზი-



დიაგრამა 4 - მოცემულია აშშ რეალური მშპ (2015 წლის ფასებით) გრაფიკი. დიაგრამა 5 - მოცემულია აშშ რეალური მშპ ზრდის ტემპების გრაფიკი. დიაგრამა 6 - მოცემულია აშშ უცხოური ინვესტიციების ნაკადების გრაფიკი. დიაგრამა 7 - მოცემულია აშშ უცხოური ფიქსირებული კაპიტალის ცვლილების გრაფიკი. ყველა მითითებულ დიაგრამაზე აღნიშნულია საშუალოვადიანი ციკლები და გრძელვადიანი ციკლის შესაბამისი ფაზები.

სის გაგებნას მშპ-ს ზრდის ტემპებზე. მე-5 ტალღის აღმავალ ფაზაზე საშუალო ზრდა შეადგენდა 3.26%, ხოლო დაღმავალ ფაზაზე შეადგენს 2.05%-ს. ასევე აღსანიშნავია კრიზისების დროს, 1975 და 1976 წლებისათვის ზრდა შესაბამისად შეადგენდა -0,52 და 0,2 პროცენტს, ხოლო 2008 წლისათვის -0,29 და 2009 წლისათვის კი - 2,79 პროცენტს. ამ პერიოდში უმუშევრობა გაიზარდა 5,78%-დან 9,63%-მდე.

ამავდროულად, მე 4 ტალღის დაღმავალ ფაზაზე უარყოფითი ტრენდები უფრო ხშირი იყო ვიდრე დადებითი. 1983-1990 წლამდე პერიოდი ნამდვილად აღმავალი ფაზის დამახასიათებელი მოვლენების მსგავსად ვითარდება. მე-5 ტალღის აღმავალ ფაზაზე გამოჩნდის 1991-92 და 2002 წლების მოკლე პერიოდით ეკონომიკური კრიზისები. ძირითად კაპიტალში ინვესტიციები, როგორც პროციკლური ინდიკატორი, აჩვენებდა ციკლის ფაზის შესაბამის ქცევას.

აშშ-ის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემავალი და გამავალი ნაკადები მთლიანობაში ემთხვევა ციკლურ რყევებს.

განხილული პერიოდის დროს იმ მონაკვეთებში, სადაც მიღწეული იქნა ყველაზე დაბალი ინფლაციის მაჩვენებლები, ისინი ყოველთვის ემთხვევა ეკონომიკაში კრიზისულ პერიოდებს.

აშშ-ში ფინანსური სექტორის მიერ გაცემული კრედიტების მოცულობა, 1960-2023 წლებში, გაიზარდა 101%-დან 250 % მდე მშპ-სთან მიმართებაში.

ჩინეთის მშპ-ს მოცემული გრაფიკი სხვა ქვეყნებისგან განსხვავებულია, მაგრამ ისევე როგორც სხვა ქვეყნების ეკონომიკები ისიც განიცდის რყევებს. ჩინეთის ეკონომიკაშიც ვხედავთ, რომ გრძელი ტალღების შესაბამისად, მე-4 ტალღის დაღმავალ ფაზაზე უფრო მეტია ტრენდისგან უარყოფითი გადახრები, ხოლო მე-5 ტალღის აღმავალ ფაზაზე შეინიშნება მთლიანობაში დადებითი ტრენდი. ამ პერიოდზე განხილულ დიაგრამიდან ჩანს, რომ მე-4 ციკლის დაღმავალი ფაზა და მე-5 ციკლის აღმავალი ფაზა შედგება შესაბამისად 2 და 3 საშუალოვადიანი ციკლისაგან, რომლებშიც ასევე ჩანს მოკლევადიანი ციკლები. მე-5 ციკლის აღმავალ ფაზაზე საშუალო ზრდის ტემპი შეადგენდა 9.79%, ხოლო დაღმავალ ფაზაზე შეადგენს 7%-ს. უმუშევრობა, როგორც სხვა შემთხვევებშიც, აქაც ავლენს პროციკლურ ხასიათს. 2010-2016 წლებში ინცფლაციის მაჩვენებელი საშუალოდ შესდგენს 1.33%-ს და ამ პერიოდში კი ეკონომიკური ზრდის ტემპები შემცირებულია. რაც შეეხება სესხებს მოცულობებს, ის სხვა განხილული შემთხვევების მსგავსად განუხრელად იზრდება და 1977-დან 2017 წლამდე პერიოდში მშპ-სთან მიმართებით 38.44%-დან 215,24% -მდე გაიზარდა (იხ დიაგრამა 8-10).

პირდაპირი წმინდა უცხოური ინვესტიციების შემავალი და გამავალი ნაკადების შეფასებისას ნათლად ჩანს, რომ 1980-იანი წლებიდან 2015

ნლამდე პერიოდში უფრო მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ხორციელდებოდა ჩინეთში, ვიდრე პირიქით. და ამ პერიოდის განმავლობაში ჩინეთის ეკონომიკა გაიზარდა რამდენჯერმე (მშპ-ს მიხედვით გახდა მსოფლიოში მეორე ეკონომიკა).



ევროკავშირის შემთხვევაშიც, განსახილველი პერიოდი 1960-2023 წლები, ემთხვევა კონდრატიევის მეოთხე ტალღის დაღმავალ ფაზას და მეხუთე ტალღას თითქმის. ეს პერიოდი მოიცავს 6 საშუალოვადიან ეკონომიკურ ციკლს, და შესაბამისად, მოიცავს მოკლევადიან ციკლებსაც (იხ დიაგრამა 11-13).

ევროკავშირის მაგალითზეც შეიძლება იმის



თქმა რომ ძირითადი ფაქტორები იცვლის თავის მართულებას ეკონომიკური ციკლის ფაზების შესაბამისად.

უმუშევრობის დონე ევროკავშირში პერიოდების მიხედვით კრიზისული მდგომარეობის შესაბამისად აღწევდა იმ პერიოდის მაქსიმუმს, კერძოდ 2001 წლის 8,81%-დან 2003 წელს გაიზარდა 9,01%-მდე. ასევე, 2006 წლიდან 2009 წლამდე კი 8,16-დან 8,87%-მდე.


დანაშოგების მაჩვენებლებიც მიყვებოდა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებს, ანალოგიური სურათია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემთხვევაშიც.



დიაგრამა 8 - მოცემულია ჩინეთის რეალური მშპ (2015 წლის ფასებით) გრაფიკი, დიაგრამა 9 - მოცემულია ჩინეთის რეალური მშპ ზრდის ტემპების გრაფიკი. დიაგრამა 10 - მოცემულია ჩინეთის უცხოური ინვესტიციების ნაკადების გრაფიკი. ყველა მითითებულ დიაგრამაზე აღნიშნულია საშუალოვადიანი ციკლები და გრძელვადიანი ციკლის შესაბამისი ფაზები.



დიაგრამა 11 - მოცემულია ევროკავშირის რეალური მშპ გრაფიკი, დიაგრამა 12 - მოცემულია ევროკავშირის მშპ-ს ზრდის ტემპების გრაფიკი. დიაგრამა 13 - მოცემულია ევროკავშირის უცხოური ინვესტიციების ნაკადების გრაფიკი. ყველა მითითებულ დიაგრამაზე აღნიშნულია საშუალოვადიანი ციკლები და გრძელვადიანი ციკლის შესაბამისი ფაზები.



ციკლური რყევების შესაბამისად იცვლება მთლიანი ფიქსირებული კაპიტალის დინამიკაც.

ზემოთ მოყვანილი ეკონომიკური ციკლის თეორიული და სტატისტიკური ანალიზი გვჩივრებოდა იმისათვის, რომ ვაჩვენოთ ეკონომიკური ციკლების ფაზების შესაბამისად, როგორ იცვლება ის ძირითადი პარამეტრები, რომლებიც უშუალოდ განაპირობებს ეკონომიკურ ზრდას. ეს მაჩვენებლები თვალნათლივ ცხადყოფს რომ ეკონომიკურ ზრდაზე ციკლური რყევები ახდენს არსებით გავლენას.

ეკონომიკური ციკლების თეორიების მხედვით (როგორც ზემოთ იქნა ნაჩვენები კონდრატევის მე-5 ტალღის პირობებში, რომელიც შედგება რამდენიმე საშუალოვადიანი (ციკლისაგან) შეგვიძლია ვთქვათ, რომ რამდენიმე მნიშვნელოვანი ტექნოლოგიის: ინტერნეტის, კომუნიკაციის ახალი სისტემების და კომპიუტერების მასიურმა შემოსვლამ გამოიწვია კაპიტალის დარგთაშორის განაწილება, (რის მაჩვენებლადაც შეიძლება გამოდგეს ციფრული ტექნოლოგიების კომპანიების საბაზრო კაპიტალიზაციის სწრაფი ზრდა), კერძოდ ტრადიციული დარგებიდან გადაინაცვლა ახალ დარგებში და ეკონომიკის სექტორებში, რაც ეტაპობრივად მოხდა, კერძოდ, პირველად, ტექნოლოგიის დანერგვის ეტაპზე, მეორედ ტექნოლოგიის განვითარების ეტაპზე და მესამედ ტექნოლოგიის მასიურად მოხმარების ეტაპზე. ეს ეტაპები ახლოსაა საშუალოვადიან ციკლებთან კონდრატევის ტალღების შიგნით. აქედან კიდევ ერთხელ ჩანს ეკონომიკური ციკლების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე და მის მიმართულებებზე.

მართალია ეკონომიკური ზრდის თეორიის მიზანია საბოლოო რაოდენობრივი შედეგების დათვლა, მაგრამ სამომავლო შედეგების უკეთ პროგნოზირებისათვის სასურველია საშუალოვადიანი და გრძელვადიანი ციკლების ეს მექანიზმი იქნას გათვალისწინებული. რადგანაც სამომავლო მწარმოებლურობის ზრდის შესაძლებლობას იძლევა ინოვაციები, ადამიანურ და ფიზიკურ კაპიტალთან ერთად.

ეკონომიკური ზრდა აბსოლუტურ მაჩვენებლებში თითქმის მუდმივად აღმავალი ტრენდია. როცა ეკონომისტები ეკონომიკურ ზრდაზე საუბრობენ, ყოველთვის კეთდება მინიშნება, რომ ეკონომიკა იზრდება რაღაც პროცენტით, და ამის გამო აბსოლუტურ მაჩვენებლებში მიაღწია კონკრეტული გამოშვების მოცულობას ფულად ერთეულებში. ამ გაგებაზეა აგებული ეკონომიკური ზრდის მოდელებიც, რომლებიც ითვალისწინებს რეალურ ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენებს, მაგრამ ძირითად ფოკუსს აკეთებენ რამდენიმე ფაქტორზე. მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი ეკონომიკური ციკლის თეორიები გვიხსნის თუ რატომ ხდება ეკონომიკური ზრდის ტემპების ცვალებადობა და რა მოსდის ეკონომიკურ ფაქტორებს, როგორ იცვლიან ისინი ციკლის შესაბამისად მიმართულებას ზრდადობის

ან კლებადობის კუთხით. ეკონომიკური ზრდა ზომავს გრძელვადიან საბოლოო მაჩვენებელს, მაშინ როცა ეკონომიკური ციკლის თეორია შუალედურ ეკონომიკურ სიტუაციაზეც აკეთებს აქცენტს. ეკონომიკური ზრდის მოდელები არაფერს ამბობს ტექნოლოგიების სასიცოცხლო ციკლზე, ფასებზე, სესხის სარგებელზე, რომელებიც საბოლოო ჯამში განაპირობებენ არამართ ეკონომიკური ციკლის განვითარებას, არამედ უზრუნველყოფენ ეკონომიკურ ზრდასაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. <https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.KD.ZG?view=chart>
2. <https://data.worldbank.org/indicator/BX.KLT.DINV.CD.WD?view=chart>
3. <https://data.worldbank.org/indicator/SL.UEM.TOTL.FE.ZS?view=chart>
4. L.Tsoufidis, A. Papageorgiou The Recurrence of Long Cycles: Theories, Stylized Facts and Figures 2015
5. K.Zimmermann, D.Kuvshinov The big bang: Stock market capitalization in the long run 2018
6. <https://cepr.org/voxeu/columns/big-bang-stock-market-capitalisation-long-run>
7. L.tokes Foreign direct investment inflows and bussinescycle 2022
8. <https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S1925209924005874#bib24>
9. N. Chatzarakis, P. Tsaliki and Lefteris Tsoufidis , A Model of Economic Growth and Long Cycles 07.2020
10. https://www.researchgate.net/publication/362109427_A_Model_of_Economic_Growth_and_Long_Cycles
11. P. Aghion, R.Griffith, Innovation and inequalities 2022
12. https://academic.oup.com/ooec/article/3/Supplement_1/i1002/7708105
13. ნ. ჩიკვილაძე სახელმწიფოს როლი ინკლუზიურ ზრდაში, ჟურნალი „ბიზნეს ინჟინერინგი“ 2022
14. P. Aghion, U. Akcigit, A. Bergeaud, R. Blundell, D. Hemous Innovation and Top Income inequality. 2017
15. С. Бобылев Н. Зубаревич С. Соловьева Вызовы кризиса: как измерять устойчивость развития?
16. S. Kaihatsu. Koga T. Sakata Interaction between Business Cycles and Economic Growth 2016
17. https://www.boj.or.jp/en/research/wps_rev/wps_2018/data/wp18e12.pdf
18. გ. ცაავა, ა.ბიბილური ეკონომიკური ზრდის გენერირების ფუნქცია და ბანკის რესურსების მულტიპლიკაციის პრაქტიკუმი, ჟურნალი „ბიზნეს ინჟინერინგი“ 2022
19. გ.ლომაია შრომის მწარმოებლურობაში განსხვავებები აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში, ბიზნეს ინჟინერინგი 2020